შ.პ.ს. საპროექტო
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
"ბაზისი XXI"

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№ 124/14

L.T.D. projecting
architect-design studio
"BAZISI XXI"

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„ 17 " ოქტომბერი 2014წ

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა № 129-ში, ი.ბ.ა. „ნუცუბიძე 2014"-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ალბომის სახით.

დამკვეთი ორგანიზაცია:	ი.ბ.ა. „ნუცუბიძე 2014"
საპროექტო ორგანიზაცია:	შ.პ.ს. „პრიმა"
პრ. მთ. არქიტექტორი:	ლ. კუპრაშვილი
პრ. მთ. კონსტრუქტორი:	გ. ჭილაძე
ექსპერტი-კონსტრუქტორი:	ვ. ჯაფარიძე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI"

კონსტრუქციული ნაწილი, მარკით „კ" დამუშავებულია A-3 ფორმატის 73 ფურცელზე. საპროექტო შენობა წარმოადგენს თორმეტსართულიან ნაგებობას, სარდაფის ორი სართულით და სხვენით.

სარდაფის სართულების სიმაღლე შეადგენს 2,80მ და 2,85მ; მიწისზედა სართულების სიმაღლე 3,30 მეტრს.

შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, გრძივი მიმართულებით ექვსმალიანია, სვეტების ბიჯი გრძივი მიმართულებით შეადგენს: 4,0მ; 6,80მ; 6,20მ; 6,20მ; 6,80მ და 4,0მ; განივი მიმართულებით ნაგებობა სამმალიანია, სვეტების ბიჯი განივი მიმართულებით შეადგენს: 4,60მ, 5,20მ და 4,60მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასულ-კავშირებიანი ტიპისაა. ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები გაანგარიშებულია პროგრამული კომპლექსის „LIRA 9.6"-ის საშუალებით.

სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 73კგ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა 50კგ/მ^2.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე საძირკვლების ფუძედ მიღებულია ძირითადი ქანები, გამოფიტული ქვიშაქვებისა და სუბარგილიტების მორიგეობითი შრეები, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე R_c=75კგძ/სმ^2.

<u>შენობის კონსტრუქციული ელემენტების დახასიათება:</u>

- საძირკვლების ნაწილი დაპროექტებულია მონილითური რკ/ბეტონის ბურღვით დანატენი ხიმინჯების სახით; ხიმინჯების დიამეტრი შეადგენს Ø=90 სმ; ხიმინჯების სიგრძე რელიეფიდან გამომდინარე შეადგენს: 5,50÷10,50 მეტრს, ხიმინჯების წვერის ჩაღრმავება ძირითად ქანებში შეადგენს 2,0 მეტრს.
- ხიმინჯები, თავის ნიშნულზე (-6.75), შეკრულია მონოლითური რკ/ბეტონის როსტვერკით გრძივი და განივი მიმართულებით. როსტვერკის განივი კვეთი შეადგენს 100X100(h)სმ.
- საძირკვლების ნაწილი დაპროექტებულია მონილითური რკ/ბეტონის წერტილოვანი ტიპის სახით სვეტების ქვეშ და მონილითური რკ/ბეტონის ლენტური ტიპის სახით დიაფრაგმებისა და სარდაფის გარე კედლების ქვეშ.

- სარდაფის კედლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან სისქით 30სმ;
- სვეტები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 40X60სმ სარდაფის, I და II სართულებზე; ზედა სართულებზე სვეტების განივი კვეთი შეადგენს 40X40სმ;
- რიგელები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, განივი კვეთებით: 30X50(h)სმ და 40X50(h)სმ.
- სართულშუა გადახურვის ფილები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან უკოჭო ტიპის სახით: -2,95 და -0,05 ნიშნულებზე, სისქით 20სმ; კოჭოვანი ტიპის სახით მიწისზედა სართულებზე, სისქით 15სმ.
- დიაფრაგმები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონისაგან, სისქით 20სმ და 40სმ;
- კიბის უჯრედები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის მარშებით, ბაქნებით და საფეხურებით.
- გარე კედლები წარმოადგენს კარკასის (ჩონჩხედის) შევსებას, ისინი „პემზობეტონის“ მცირეგაბარიტიანი ბლოკების წყობისაა, სისქით 30სმ; პროექტში გათვალისწინებულია კედლების ჩამაგრება კარკასის ელემენტებთან (სვეტებთან).
- ტიხრები დაპროექტებულია „პემზობეტონის“ სატიხრე ბლოკებით, სისქით 10სმ; პროექტში გათვალისწინებულია ტიხრების ჩამაგრება გადახურვის და კარკასის კონსტრუქციებთან სამონტაჟო ელემენტებით.
- ლიფტის შახტა (კედლები) ეწყობა მსუბუქი მასალებისაგან, სპეციალურ პროფილებზე, რომლებიც მაგრდება კიბის უჯრედის ბაქნებზე,
- სახურავი ქანობიანია, ხის ნივნივებზე.
- შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს მონოლითური რკ/ბეტონის სივრცული ჩარჩო-კავშირებიანი კარკასი, ბეტონის საპროექტო კლასი (მარკა) შეადგენს: B-25 (M-327); არმატურების საპროექტო კლასი მზიდ კონსტრუქციებში: A -I და A-III.

პროექტს თან ერთვის ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგები, აკინძული ალბომის სახით; ანგარიშები შესრულებულია პროგრამული კომპლექსის „ LIRA 9.6“-ის საშუალებით.
ნაგებობის მზიდი კონსტრუქციები დაპროექტებულია შენობის მზიდი კარკასის სივრცული ანგარიშის შედეგების მიხედვით.

დასკვნა:

ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №129-ში, ი.ბ.ა. „ნუცუბიძე 2014“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობაში.

პროექტის გრაფიკული ნაწილისა და შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის სივრცული ანგარიშის შედეგების ანალიზის საფუძველზე ექსპერტიზა დადებით შეფასებას აძლევს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს და რეკომენდაციას უწევს მას მშენებლობის განსახორციელებლად.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი /ი. ცერცვაძე/

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
ექსპერტი-კონსტრუქტორი /ვ. ჯაფარიძე/